# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 235 პარასკევი, 23 ოქტომბერი 1909 წ. № 235

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ დაუბრუნებენ. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან, ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური —— დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


## „დროების" კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.


წარმოდგენა № 10. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 10.

კვირას, 25 ოქტომბერს, 1909 წელს.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის და სვ. სვიმონიძის მონაწილეობით.

## ორი ჯიბგირი

მელოდრამა 5 მოქმედებად და 6 სურ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გედევანოვი, გრიშაშვილი, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამმელი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი, მურვანიშვილი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „ქორჩიანი ტოროლა", „იმედის დაღუპვა", „უკვდავი ზღაპარი".

მორიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

ტფილისის წვრილ ვაჭართა პროფესიულ. საზოგადოების

## მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წარსულ წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე—23 ოქტომბერი, როდესაც საზოგადოების წევრნი ვაჭარნი მთელ თავიანთ ნავაჭრიდან წილს გადასდებენ

## ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

ამიტომ მთავარი კომიტეტი სთხოვს ქალაქის მცხოვრებთ, კეთილ ინებონ და 23 ამა ოქტომბერს იმ ვაჭრებთან ივაჭრონ, რომელთა სახელი და გვარიც სიაში იქნება დაბეჭდილი.

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წ.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილი იქნება:

## ტარტიუფი

კომ. 5 მოქმედებად მოლიერისა, თარგ. ვ. მაჭავარიანისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირა საღამოს, 1 ნოემბერს. მზადდება წარმოსადგენად; „ღალატი" სუმბათაშვილისა, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", ა. ცაგარლისა და სხვ.

დაბეჯითებით ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(3—2) რეჟისორი **ჭათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

გვაქვს პატივი საყოველთაოდ ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ დაბა ბაღდადში (ქუთაისის მაზრა) მთავრობის ნებართვით დანიშნულია

## საბაზრო დღე, ივრმუკა

ყოველ კვირა დღისთვის, რისთვისაც ვაჭრობისათვის დანიშნულ ადგილას გაკეთებულია ყაფანი სასწორით და ბუტკები, სადაც იყიდება სიმინდი, ღვინო, ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, თხა, ღორი, შინაური ფრინველი, ყავარი, ფიცარი, ხეები, ჩითეულობა, ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ნამყენი ვაზი და სხვა ყოველნაირი სამეურნეო ნაწარმოები, საბაკალეო და სამანუფაქტურო საქონელი.

აგრეთვე სოფლის მცხოვრებთ შეუძლიანთ მოიტანონ ყოველნაირი თავიანთი ნაწარმოები და მოიყვანონ ცხოველები გასასყიდად.

**ბაღდადის დეპუტატები: ა. ბუცხრიკიძე, ს. ხითაროვი და ს. ჯაფარიძე**

(3—კვ.—3)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—89

**ექიმი**-სპეციალისტი ქ. ქუთაისში **ჩარექოვი**
იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის მესაზვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—12)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—31)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

### ქუთაისში

კბილის ექიმის **დ. ს. რაჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—26)

**ექიმა** ქუთაისში. **ვოლოხმა**
ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ზოლო საღამოთი 5—7 ს კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—41)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—279)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კ. ს. ფონ-ირტელი
არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—30)

**ექიმი** ი. ნ. ეგიაზაროვის
ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—40)

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი
ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს, საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—44)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

- **მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
- **ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
- **ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
- **ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.
- **მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
- **მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
- **ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
- **ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—42)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში
9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—12)

## ქართული თეატრი

შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წ. გაიმართება საჯარო ლექცია ქართულად

## გრიგოლ რობაქიძისა

ამ თემაზე:

## სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა

ლექციის დაწყების წინ **ბ. ივ. გომართელი** წაიკითხავს ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია-დახასიათებას, ხოლო თავ. **ნიკოლოზ ერისთავი** წარმოსთქვამს პოეტის რამდენსამე ლექსს.

დაწვრილებით პროგრამებში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

**დასაწყისი საღამოს 8 საათს.** (5—5)

## ქართული თეატრი

სამშაბათს, ამა ოქტომბრის 27-ს,

წ.-კ. საზოგადოების გამგეობის მიერ

გაიმართება

## ილია ჭავჭავაძის საღამო

1. განყოფილება: „სქესი, სიყვარული და „განდეგილი"—ლექცია გრ. რობაქიძისა.
2. კონცერტი **ვანო სარაჯიშვილის,** ი. ბარათაშვილის, ნ. გაბუნია-ცაგარლის და სხვათა მონაწილეობით.
3. ცხოველი სურათები ილიას თხზულებიდან („დედა და შვილი", „კაკო", „აჩრდილი", „პოეტი", „დიმ. თავდად.", „გაზაფხული", „გუთნის დედა") დეკლამაციით.

**ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი.** (5—2)

ქართული წარ. **ავლაბრის თეატრი** მოდგენა № 5.

**შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წ.**

ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

## მელანიას ფინები

კომედია 4 მოქმ. გად. კ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რჩეულოვი, მარგველაშვილი, კავთელი; ბ-ნნი სალაყაია, ჯიბლაძე, ქიზიყელი, გელიკურაშვილი, გომელაური, ბალაშვილი, ფირუმიანი, მესხიძე, მაისურაძე, მირველოვი, რევაზოვი, გოჩიტაშვილი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ✦ **ადგილების ფასები 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

უმორჩილესადა ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროს წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურვინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვანენ და თეატრში სტვენა და აურ-ზაური აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილი იქნება.

დირექცია **ამო-ხარაზიანი.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს..

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2½ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ., ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—19)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

- **ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
- **ა. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- **ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—2½ ს. თვალისა.
- **ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.
- **ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—187)

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი

ვლეხთა ამხანაგობა

## „კახეთი"

Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ виноградовладѣльцевъ

## „Кахетія"

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეო მაღაზიებში და სამიკიტნოებში.

10 ბოთლს ზევით ეგზავნებათ ჩვენის ხარჯით თბილისში.

По такой этикетѣ продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кодалову.

Русская улица домъ Шемовъ Ногаевъ № 7 | Складъ подвалъ ...

(100—ნ.—8)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტუეშელაშვილი**
იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ზუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—კვ.—86)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—36)


## ვაჭრობა წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ

მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 23 ოქტომბერს, ტფილისის ვაჭრები თავიანთ ნავაჭრის წილს სწირავენ „ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას". ამ ვაჭრების სია დღევანდელ ნომერთან ეგზავნება ტფ. ყველა ხელის მომწერს. წ.-კ. საზოგადოება დიდ საერო საქმეს ემსახურება. იგი ერთადერთი დაწესებულებაა, რომელსაც შეუძლიან ჩვენ საქმეს მცირე შველა მაინც დასდოს. ღარიბები ვართ არა მარტო ქონებით, კულტურულ სალაროთიც. ძნელი წარმოსადგენია ისტორიული ერი, ჩვენსავით ჩამოქვეითებული. არავითარი თვალსაჩინო ეროვნული დაწესებულება არ მოგვეპოვება. სხვებს მუზეუმები, აკადემიები, დაბალი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები აქვთ; აქვთ მდიდარი წიგნთ-საცავები, სამხატვრო გალერეიები, საუცხოვო თეატრები. არ გეგონოთ ყველა ამ სიკეთით სავსენი იყვნენ მარტო დიდი და მდიდარი სახელმწიფოები და ერები. არიან პაწაწა სახელმწიფოები, დამონებული ერები, რომელნიც ამ გვარ კულტურულ დაწესებულებებით სხვების ყურადღებასაც იქცევენ; იქ, ამ ერებში ეს საქმეები გაკეთებულია კერძო ინიციატივით, კერძო საშუალებით, კერძო შეწირულებით.

ჩვენა? აბა მიმოიხედეთ გარეშემო, თვალი მოავლეთ ჩვენ ცხოვრებას, რას დაინახავთ? არაფერს... არც ერთ ისეთ ეროვნულ დაწესებულებას, რომელსაც შეეძლოს სინათლის სხივის მოფენა; არც ერთ ნამოქმედარს, რომლითაც სიამაყე და თავის გამოჩენა შეგვეძლოს...

გულსაკლავი, სევდის აღმძვრელი უფრო ის არის, რომ არა გვაქვს სურვილი და ხალისი ეხლა მაინც გავანძრიოთ ხელი, ეხლა მაინც ჩავუყაროთ საძირკველი ჩვენ ეროვნულ საქმეს. ყველგან საოცარი გულგრილობაა გაბატონებული. არავითარი გატაცება, არავითარი ხალისი და შეგნება...

ერთად-ერთი დაწესებულება გვაქვს —წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. 25 წელიწადზე მეტია, რაც ეს საზოგადოება არსებობს, მაგრამ იგი დღესაც იმ მდგომარეობაშია, როგორშიაც პირველ ხანებში იყო. თავის მოტყუება, თვალების დაბრმავება იქნება, ყ... ფერი საქმის სათავეში მდგომთ გად ვაბრალოთ—გამგეობის წევრნი უმოქმედონი არიანო. თუ ხალხი და საზოგადოება არ მიხედავს, არაფერს გაიმეტებს, ამ გვარ დაწესებულებების სიხარულით არ გაიხარებს და იმის დაქვეითებით გულის ტკივილს არ იგრძნობს, სულით გოლიათნი და ზე-კაცნი რომ დააყენოთ სათავეში, ვერაფერს გააკეთებენ და მკვდარს ვერ გააცოცხლებენ.

ესეც არ იყოს, განა აშკარა არ არის უბრალო და მარტივი ჭეშმარიტება: განა შესაძლებელია იქ, სადაც სიცოცხლე, საქმისადმი ინტერესი და სიყვარულია, რომ უპირველეს ეროვნულ დაწესებულების სათავეში უმოქმედონი იყვნენ? განა თავის-თავად აშკარა არ არის, რომ მოქმედი და ცოცხალი ხალხი მომქმედ და ცოცხალ მეთაურებს აირჩევს? ოცდა-ხუთი წელიწადი! როგორ მოხდა, რომ ესოდენ დიდ მანძილზე სულ უმოქმედოებს ვირჩევდით? არა ბატონებო, ყველანი უმოქმედონი ვართ, არავის გული არ შეგვტკივა და მეთაურები ვერაფერს გვიშველიან.

დღეისთვის ტფილისელმა, უმთავრესად ქართველმა, ვაჭრებმა დანიშნეს ვაჭრობა. ნავაჭრის ნაწილი გადაეცემა წერა-კითხვის საზოგადოებას. მადლობის მეტი ვაჭრებს არა ეთქმით-რა.

მაგრამ ყველა ჩვენთვის პირდაპირ სირცხვილი იქნება, რომ ამ საქმეში არ დავეხმაროთ. სიტყვას „დახმარებას" ტყუილად ვამბობთ. არავითარ მსხვერპლს, არავითარ ზედ-მეტ ხარჯს

და ქველ-მოქმედებას ჩვენგან არა თხოულობენ. ძნელი წარმოსადგენია ისეთი ოჯახი, რომელსაც არაფრის ყიდვა არა ჰქონდეს განზრახული, წვრილმანისა მაინც. საჭიროა მხოლოდ ის, რაც სასყიდელი აქვს, სწორედ დღეს იყიდოს და ამასთან სწორედ იმ ვაჭრებთან, რომელნიც სიაში არიან აღნიშნულნი. აი, ეს არის საჭირო მხოლოდ და ამ მცირედით წერა-კითხვის საზოგადოებას რამდენსამე ათას მანეთს შევძენთ.

ნუ თუ იმდენად უნუგეშო მდგომარეობაში ვართ, იმდენად მოვუძლურდით, რომ ასეთ უბრალო რამის გაკეთებასაც ვეღარ მოვახერხებთ?!

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

არა სცხრება მენშიკოვი. რუსეთის „ხსნით" გატაცებული, დღე და ღამე იმის ფიქრშია, რომ გამოსძებნოს ახალ-ახალი საშუალება ქვეყნის „გასაბედნიერებლად". სახელმწიფო სათათბიროს ეხება და შენიშნავს—სათათბირო სალაყბოა, სადაც თავი მოუყრია უსაქმო ხალხსაო. ქვეყნის დამშვიდებაა საჭირო; ავაზაკობა, ქურდობა საშინელ სენად არის გადაქცეული, დეპუტატები კი პიროვნების თავისუფლებაზე ლაპარაკობენო.

მენშიკოვი სწერს: ერთმა პროფესორმა მითხრა, ჩვენი მემარცხენენი ესწრაფვიან მოხსნან სამხედრო და განსაკუთრებული წესები; ფიქრობენ პიროვნების ხელუხლებლობაზე. მაგრამ ჩვენ, მცხოვრებთ, სახლიდან გამოსვლისა გვეშინიან. ავაზაკები ეცემიან მატარებლებს, სცარცვავენ სოფლად, ქალაქად, ულეტავენ მთელს ოჯახებს და სხვა. ხალხის დამშვიდება, აი რა არის საჭირო და მთავრობაც ამაზე ფიქრობსო.

დიაღ, დამშვიდებაზე არა ერთხელ ულაპარაკნიათ. ვიცით რასაც ნიშნავს დამშვიდება. 1906 წლიდან ყოველნაირი საშუალება იხმარეს „დასამშვიდებლად". სიკვდილით დასჯა, დამსჯელი რაზმები, გადასახლება, ციხეები ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. დღემდე იმ აზრისა ვიყავით, რომ ყოველივე საშუალება იხმარეს, რაც კი ბიუროკრატიის გონება მახვილობას შეეძლო მოეგონებინა, სცადეს ყველაფერი. ასე ვფიქრობდით დღემდე, მაგრამ შევცდარვართ. ერთი საშუალება კიდევ მოიგონეს: ხორცის გვემა. აი, რასა სწერს მენშიკოვი:

თუ არა მოქმედებს (გავლენა არა აქვს) სახრჩობელა, წამება, საპყრობილე, გადასახლება,—დაუბრუნდით ფიზიკურ დასჯას (გარტყმას). ეს საშუალება ნაკლებად სასტიკია, ვიდრე სახრჩობელა, მაგრამ ნამდვილი კი არის. სასჯელი სასიკვდილო ნუ იქნება, იყოს საგრძნობელი და სამარცხვინო.

ასეთმა ხალხმა მომწვანილება იცის. როგორც მოდას, ისე სცვლიან სასჯელის ფორმებს. იმათ ეხლა ხორცით გვემა აინტერესებთ—ცემა და ნაცემის წივილ-კივილი უფრო მოფხანს გულს. კაცის დახრჩობას ხშირად საკუთარის თვალით ვერა ხედავენ.

* * *

„ნოვოე ვრემიის" პუბლიცისტი მუდამ ავაზაკებსა და ქურდებზე ლაპარაკობს, მაგრამ ყოველთვის სდუმს, როდესაც მოხელეები ავაზაკობენ. „რეჩი" ეხება დღევანდელს მდგომარეობას, იგონებს საიდუმლო პოლიციის უფროსის ასლანოვის საგმირო საქმეებს კიევში. ბიუროკრატია ბევრსა ჰმალავს თავის აგენტების მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებას, ოფიციალურად უარ ჰყოფს ხოლმე, მაგრამ ამ ბოროტ-მოქმედების კუდის დაფარვას მაინც ვერ ახერხებს. ასლანოვები კიევში მოქმედებდნენ, დიდ-ხანს თარეშობდნენ, მათ ხელს აფარებდნენ, მაგრამ ბოლოს იძულებულნი გახდნენ სამართალში მიეცათ ასლანოვი. „რეჩი" სწერს:

ასლანოვი სამართალში მისცეს. საქმის გარჩევის დროს გამოირკვა საშინელი სურათი ბოროტ-მოქმედებისა და სასამართლომ ასლანოვი არ დაინდო. ამის შემდეგ გვეგონა, რომ ბოლო მოეღებოდა ბოროტ-მოქმედებებს, მაგრამ რასა ვხედავთ. სანამ ასლანოვის განაჩენი ძალაში შევიდოდა, ასლანოვის ადგილას საშინელი ბოროტ-მოქმედებანი გამომჟღავნდა.

კიდევ მექრთამეობა, ქურდებისა და მძარცველთა ბრბოს დაფარვა ქრთამების აღებით. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა არა მარტო კიევში, არამედ სხვაგანაც.

„რეჩი" ითვალისწინებს დღევანდელ მდგომარეობას და დაასკვნის:

თუ ეხლა, მიუხედავად ცხოვრების დაუჩუმებელ ჩიჩინისა, მთავრობა არა სცდილობს ბოლო მოუღოს თვითნებობას, ეს არა იმიტომ, რომ არ ესმოდეს, თუ სახელმწიფოსათვის რა საშინელ ბოროტებას აფარებს ხელს, არა, ამას იმიტომ სჩადის, რომ თითონაც ამ საფუძველზე ამყარებს სახელმწიფო მართვა-გამგეობას.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 ოქტომბერი

## სპარსეთი

**ლონდონი.** „ტაიმსი" სწერს: რუსეთის მთავრობამ სპარსეთის საქმეებში ისეთი კეთილსინიდისიერება გამოიჩინა, რომ ყოველი ინგლისელი მოვალეა კეთილის თვალით უყურებდეს რუსეთის მთავრობის მოქმედებას არდებილში მცხოვრებ რუს ქვეშევრდომების დაცვის საქმეში.

**თეირანი.** პოლიცმეისტერმა ეფრემმა არდებილისკენ გაილაშქრა.

## მიწის-ძვრა.

**რეჯიო-დე-კალაბრია.** საღამოს 4 საათსა და 25 წუთზე ძლიერი მიწის-ძვრა იყო.

## ბრძოლა ეროვნულ უფლებებისთვის.

**ვენა.** იმპერატორმა დაამტკიცა ქვემო და ზემო ავსტრიის, ზალცბურგის და ფორალბერგის ლანდტაგების კანონ-პროექტები ენების შესახებ.

**ვენა.** ჩეხის სახალხო საბჭომ (ამ საბჭოში შედიან სეიმის და რეიხსტაგის დეპუტატები) იმპერატორს დეპეშა გაუგზავნა და ჩეხელ ხალხის სახელით სთხოვა, ნუ დაამტკიცებთ ქვემო და ზემო ავსტრიის, ზალცბურგის და ფორალბერგის ლანდტაგების კანონ-პროექტებს ენების შესახებ, რადგან ეს კანონ-პროექტები შეურაცხყოფას აყენებენ ჩეხელ ხალხს და ეროვნულ ბრძოლას აძლიერებენო. გერმანული პრესსა აღტაცებით ეგებება ამ კანონ-პროექტების დამტკიცებას.

**ვენა.** „ნეიე-ფრეიე პრესსე" სწერს: თუ იმპერატორმა დაამტკიცა ლანდტაგების კანონ-პროექტები ენების შესახებ, აქედან იმის დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ, რომ იმპერატორი არ ეთანხმება ჩეხელ ხალხის და მის მეთაურების აზრსაო.

## საზღვარ-გარედ.

**ადდის-აბება.** აბესინიის იმპერატორი სიკვდილის პირასაა.

**ლონდონი.** ლონდონსა და პროვინციებში დამთავრდა მუნიციპალიტეტის არჩევნები. სოციალ-დემოკრატები ყველგან დამარცხდნენ. გაზეთებში დაბეჭდილია რუსეთ-ინგლისის ახალ საზოგადოების პროექტები. საზოგადოებას ათი მილიონი მანეთი ძირითადი თანხა ექნება. საზოგადოებას მიზნად ექნება რუსეთის სახელმწიფოს და ქალაქების თვითმართველობების სესხების განაღდება და სხვა.

**ნიუ-იორკი.** დამთავრდა მუნიციპალიტეტის არჩევნები. პარტია „ტამმანი-გოლი" საშინლად დამარცხდა.

**ადდის-აბება.** სხვა და სხვა თემების მეთაურების თანდასწრებით წაიკითხეს აბესინიის იმპერატორ მენელიკის პროკლამაცია. პროკლამაციაში, სხვათა შორის, სწერია: ჩემსა და ხალხს შუა თანხმობა არ სუფევდა და ამან დასცა აბესინიის სიძლიერე, ამიტომ ჩემ ქვეშევრდომებს წინადადებას ვაძლევ ერთგულად ემსახურონ ჩემ მიერ დანიშნულ მემკვიდრეს—ლიჯასსუს და სხვა რომელიმე მემკვიდრეს მხარი არ დაუჭირონო. მენელიკის მემკვიდრის ოპეკუნად დანიშნა რას-ტესამმა.

## რუსეთი

**არხანგელსკი.** ვერკოლის მონასტერში მოჰკლეს მღვდელ-მონოზანი ტიხონი, 67 წლისა. ტიხონის მოკვლას აბრალებენ ბერ-დიაკონს დოსიფეოსს.

**ოსტროგოჟსკი** ხარკოვის სამოსამართლო პალატამ განიხილა 7 გლეხის საქმე. მათ ბრალდებოდათ სოციალისტ-რევოლიუციონერის პარტიის წევრობა და 1907 წელს მღვდლის სახლის აფეთქება. სასამართლომ გადაუწყვიტა: ერთს ექვსი წლით კატორღა, ერთს გადასახლება, ორს სხვა და სხვა ვადით გადასახლება, სამი გაამართლა.

**ვილნო** სოფელ კაპლინიჩში ხოლერა გაჩნდა. ერთი კვირის განმავლობაში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 4 კაცი. მიღებულია ხოლერის საწინააღმდეგო ზომები.

**სიმფეროპოლი.** სოფელ ტოზეტიჯალში (იალტის მაზრაში) ხოლერა გაჩნდა. ავად გახდა ერთი კაცი, რომელიც უკვე გარდაიცვალა.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ექიმების დანიშვნა.** როგორც „კავ." გადმოგვცემს, ქალაქის გამგეობას არამიანცის სახელობის საავადმყოფოში უკვე დაუნიშნია ექიმები. უფროსი ექიმი ჯერ არ დაუნიშნია, მხოლოდ ზედამხედველობა მიუნდვია სასანიტარო ინსპექტორის სტეფ-ნოვისთვის (ესეც თხოულობდა უფროს ექიმის ადგილს და ალბად დროებით ზედამხედველობა მიანდვეს და მერე უფროსად დანიშნავენ), უფროს თერაპევტად დანიშნეს ბაქოელი ექიმი არუთინოვი, ხოლო უფროს ქირურგად—ექიმი ვიელოვზოროვი (მგონი საბჭოს ხმოსანია).

✦ **იარაღის საწყობი კახეთში.** კახეთის მევენახეთა ერთმა ჯგუფმა სთხოვა კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, დაარსოს ამ უკანასკნელმა კახეთში საჭირო იარაღის საწყობი. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ მევენახეთ შეეძლოთ ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდა.

✦ **წვრილი კრედიტი სოფლად.** წვრილ კრედიტის ინსპექტორი ატყობინებს კავკ. სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ 1909 წელს ერევნის გუბერნიაში მოქმედებს 12 წვრილი საკრედიტო დაწესებულება. ამას გარდა წლის განმავლობაში წვრილ კრედიტისთვის ფული ითხოვა 34 სოფელმა. კრედიტი გაეხსნა და მოქმედება დაიწყო ერთმა, ხოლო ხუთ საზოგადოებას კრედიტის გატანის უფლება მიეცა. ყარსის ოლქში მოქმედებს 1 და განჯის გუბერნიაში 2 საკრედიტო დაწესებულება. განჯის გუბერნიაში ამ დაწესებულების დასაარსებლად კრედიტი ითხოვა 2, ხოლო ყარსის ოლქში 7 სოფელმა, მაგრამ არც ერთს ჯერ ფული არ მისცემიათ.

✦ **ქართული ენის მასწავლებელი.** ტფ. ქართულ გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად, ნაცვლად გარდაცვლილ გრიგოლ ვოლსკისა, დროებით დაინიშნა პეტრე მირიანაშვილი.

✦ **სამარხი კასსა** ხუთი წელიწადია, რაც ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა დააარსეს სამარხი კასსა. ამ ხნის განმავლობაში კასსას თავის წევრების ქვრივ-ობლებისთვის მიუცია 4665 მანეთი და 25 კაპეიკი. სულ გარდაცვლილა 20 კაცი. გარდაცვალებულის ოჯახს ეძლევა 330 მანეთი.

✦ **სემინარიის ინსპექტორი.** ტფ. სასულიერო სემინარიის ინსპექტორი ბერ-მონოზონი ფილიპე გადაყვანილ იქმნა ამავე თანამდებობაზე ბითანიის სემინარიაში, ხოლო იმის ადგილას დაინიშნა მინსკის სემინარიის მასწავლებელი იაკუბოვიჩი.

✦ **მაჩაბლიშვილის მოხსენება.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ტფ. ოლქის სასამართლოს სხდომაში მოხდება იურიდიულ საზოგადოების კრება. კრება, სხვათა შორის, მოისმენს ა. მაჩაბლიშვილის მოხსენებას ბ-ნ ლისტის მიერ რეფერატის გამო და „დანაშაული, როგორც სოციალურ-პათოლოგიური მოვლენა".

✦ **კავკ. ს.-სამეურნეო საზოგადოება.** დღეისთვის დანიშნულია საზოგადო კრება კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. კრებამ უნდა აირჩიოს ახალი წევრები, განიხილოს მოხსენება საბჭოსი ტფ. საბაღოსნო სასწავლებელში მასწავლებელთა შტატის შეცვლის შესახებ და სხვა. კრება აირჩევს აგრეთვე საბაღოსნო სკოლის გამგეს. გამგის კანდიდატად ასახელებენ ეხლანდელ ფაქტიურ გამგეს სკოლისას ბ-ნ მელიას. ამავე სხდომაზე მოისმენენ ივ. ს. ჯაბადარის მოხსენებას თესვის ახალ სისტემის შესახებ.

✦ **პოლიტიკური საქმე.** ამ დღეებში ტფ. სამოსამართლო პალატის სესიამ განიხილა ქუთაისში საქმე სტუდენტის პავლე ჯვარიშეიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ს.-დ. პარტიაში მონაწილეობა და მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება. პალატამ ჯვარიშეიშვილს ციმბირში გადასახლება მიუსაჯა.

✦ **ლექციები.** კვირას, 27 ოქტომბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში გაიმართება სამი ლექცია. პირველად ლექციას წაიკითხავს ბ-ნი შახნაზაროვი: „დასავლეთი ევროპის გავლენა რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობაზე ალექსი მიხეილის ძის მეფობის დროს"; მეორე ლექციას წაიკითხავს გ. ბ. გვაზავა: „შედეგი საერობო დაწესებულებების შესახებ თათბირისა". ამავე თემაზე ლექციას წაიკითხავს შალვა ელიავა.

✦ **მეურნეთა კრება.** კვირას, 25 ოქტომბერს, მოხდება შეერთებული სხდომა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი და მეურნეთა კრების მომწყობ ბიუროსი. შეერთებულმა სხდომამ უნდა შეადგინოს სია კრებაზე მოსაწვევ საპატიო პირთა და აგრეთვე გამოარკვიოს, სად უნდა გაიმართოს კრება. როგორც მკითხველებმა იციან, მეურნეები მთელ ამიერ-კავკასიიდან არიან მოწვეულნი და თუ ყველანი

# წ ა ბ ლ ა

**მოთხრობა ან. ჩეხოვისა.**

5*)

გავიდა ერთი თვე.

წაბლა უკვე მიეჩვია იმას, რომ ყოველ-დღე გემრიელად ასადილებდნენ და „ძალოას" ეძახდნენ. მიეჩვია აგრეთვე უცნობებსაც და თავის ახალ მეგობრებსაც. ცხოვრება ტკბილად მიდიოდა. ყოველი დღე ერთნაირად იწყებოდა. ყველაზე ადრე ბატი იღვიძებდა და კისრის ქნევით ხან წაბლას მიუახლოვდებოდა, ხან კატას და რაღაცაზე ცხარედ მაგრამ გაუგებრად იწყებდა ხოლმე ლაპარაკს. ის ხან-და-ხან თავს მაღლა ასწევდა ხოლმე და გრძელს მონოლოგებს ამბობდა. პირველ ხანად წაბლას ეგონა, რომ ბატი ბევრს იმიტომ ლაპარაკობს, რომ ძალიან ჭკვიანიაო, მაგრამ არ გაიარა ბევრმა დრომ, რომ ბატმა იმის თვალში ყოველივე პატივი დაჰკარგა. როდესაც ის თავის დაუსრულებელ ლაპარაკით წაბლასთან მიდიოდა ხოლმე, წაბლა კუდს აღარ აქნევდა, უთავაზოდ უცქერდა და სრულიად დაურიდებლად უპასუხებდა ხოლმე: „ღრრრ"!..

კატა კი სხვა ჯურისა იყო. როცა გაიღვიძებდა, ხმასაც არ იღებდა, არ ინძრეოდა და თვალებსაც კი არ ახელდა. დიდის სიამოვნებით არც-კი გაიღვიძებდა, რადგან, როგორც ეტყობოდა, ცხოვრება ეგრე რიგად არ უყვარდა. არაფერი არ აინტერესებდა. ყველაფერს უნდილად და გულ-აცრუებულად ეკიდებოდა, ყველაფერი სძულდა და როცა თავის გემრიელ სადილსა სჭამდა, მაშინაც-კი ზიზღით ფრუტუნებდა ხოლმე.

როცა წაბლამ გაიღვიძა, ოთახებში სიარულს მოჰყვა და კუთხეებს სუნვა დაუწყო. მხოლოდ მას და კატას ჰქონდათ ოთახებში სიარულის ნება. ბატს კი ჭუჭყიან ოთახის დირეზედაც კი ფეხის გადადგმა აკრძალული ჰქონდა. თხუპნია ღორი ხომ სადღაც ეზოში სცხოვრობდა, ფიცრულში და მხოლოდ სწავლის დროს მოვიდოდა ხოლმე. ბატონი გვიან იღვიძებდა და დალევდა თუ არა ჩაის, მაშინვე თავის ფოკუსებს მიჰყოფდა ხოლმე ხელს. ოთახში ყოველ დღე გაჩნდებოდა ხოლმე ჩარჩო, შოლტი, რკალები და ყოველ დღე თითქმის ერთსა და იმავეს იმეორებდნენ. სწავლა ორ-სამ საათს გრძელდებოდა, ისე რომ კატა დაღლილობისაგან მთვრალივით ქანაობდა, ბატი პირს აღებდა და მძიმედ ქშინავდა, ხოლო ბატონი წითლდებოდა და შუბლიდან ოფლს იწმენდავდა.

სწავლა და სადილი დღეებს ამხიარულებდა, საღამოები კი მოწყენილად გადიოდა. ბატონი ჩვეულებრივ საღამოებით სხვაგან მიდიოდა და ბატი და კატაც თან მიჰყავდა. რაკი მარტოკა რჩებოდა წაბლა, თავის პატარა ნაალზე წვებოდა და მოიწყენდა ხოლმე... დარდი და მოწყენილობა ნელა ეპარებოდა და ისე იპყრობდა, როგორც ბინდბუნდი ოთახს. ეს ასე იწყებოდა: ძაღლს ერთბაშად მთელი ხალისი ეკარგებოდა; აღარც ყეფა უნდოდა, აღარც ჭამა, აღარც ოთახებში სირბილი. ეჩვენებოდა ხოლმე. შემდეგ რაღაცეები ჩნდებოდნენ. არც თუ ძაღლები იყვნენ, არც კაცები. მათი სახეები სასიამოვნო, მაგრამ გაუგებარი იყო. როცა ესენი გამოჩნდებოდნენ, „ძალოა" კუდის ქნევას იწყებდა და ისე ეჩვენებოდა, თითქოს ისინი სადღაც, როდესღაც უნახავს და ჰყვარებია... როცა ჩაიძინებდა „ძალოა", ჰგრძნობდა, რომ ამ სახეებს წებოს, ბურბუშელისა და ლაქის სუნი ასდიოდათ. როცა წაბლა ახალ მოწყობილობას მთლად შეეჩვია და გამხდარ, ძვლებად ნაქცევ ეზოს ძაღლისაგან მოღლილ და გამაძღარ ცხოველად იქცა, ერთხელ სწავლის წინ ბატონმა ხელი გადაუსვა და უთხრა:

— დროა, ძალოავ, საქმეს შეუდგეთ! გეყო ეგრე უსაქმოდ ქეიფი. მე მინდა მსახიობად გაქციო... გინდა მსახიობი იყო?

და სხვა-და-სხვა საგნების სწავლება დააწყებინა. პირველ გაკვეთილზე წაბლამ უკანა ფეხებზე დადგომა და სიარული ისწავლა. ძალიან მოსწონდა. მეორე გაკვეთილზე უკანა ფეხებით მაღლა უნდა ეხტუნა და პირი უნდა წაევლო შაქრის იმ ნაწილისათვის, რომელიც ბატონს მაღლა ეჭირა. შემდეგ ცეკვავდა, მუსიკა დამქაშობას უწევდა და თვითონ გასწკმუოდა, ზარსა რეკავდა, დამბაჩას ისროდა, ხოლო ერთი თვის შემდეგ უკვე თამამად შეეძლო, რომ „ეგვიპტის პირამიდაში" კატის მაგივრობა გაეწია. წაბლა ძალიან ხალისიანად სწავლობდა და თავისი წარმატება დიდად უხაროდა. ენა გამოგდებული სირბილი, რკალში გაძრომა, კატაზე ჯდომა და ისე სიარული, ყველაფერი მას დიდად ატკბობდა. კარგად გაკეთებულ ყოველ ფოკუსის შემდეგ აღფრთოვანებული მხიარულად შეჰყეფდა ხოლმე. მასწავლებელიც მხიარულებდა და ხელებს ისრესდა.

— ნიჭია, ნიჭი!—ამბობდა ის—უეჭველი ნიჭია! აუცილებლად წარმატებას დაადგები.

და ძალოა სიტყვა „ნიჭს" ისე შეეჩვია, რომ მუდამ, როცა ბატონი ამას წამოიძახებდა და აქეთ-იქით იცქირებოდა, თითქოს ეს სიტყვა მისი სახელი ყოფილიყო.

### 6.

### მოუსვენარი ღამე

ძალოამ ძაღლური სიზმარი ჰნახა: ვითომ მეეზოვე ცოცხით მისდევდა. წაბლას შიშისაგან გაეღვიძა. ოთახში სიჩუმე იყო, ბნელოდა და ცხელოდა. რწყილები იკბინებოდნენ. ძალოას სიბნელისა წინად არას დროს არა ჰშინებია, მაგრამ ეხლა შეშფოთდა და ყეფა მოუნდა. მეზობელ ოთახში ბატონმა მძლავრად ამოისუნთქა, მერე ღორმა თავის ფიცრულში დაიღრუტუნა და ხელ-ახლა ყველაფერი მისწყდა. როცა ჭამაზე ფიქრობ, გულზე მოგეშვება ხოლმე. ძალოამაც ქათმის იმ ფეხზე დაიწყო ფიქრი, რომელიც წელან კატას მოჰპარა და სასტუმრო ოთახში შკაფსა და კედელს შუა აბლაბუდასა და მტვერში დამალა. ურიგო არ იქნებოდა, წასულიყო და ენახა, იქვე იყო ის ფეხი თუ არა? ადვილი შესაძლებელია, რომ ის ბატონმა იპოვა და შეჭამა. მაგრამ გათენებაზე ადრე ოთახიდან გასვლა არ შეიძლება. ასეთი წესია. ძალოამ თვალები დახუჭა, რომ მალე დასძინებოდა. გამოცდილებით იცოდა, რომ რაც მალე დაიძინებდა, მით უფრო მალე გათენდებოდა. მაგრამ იმის მოშორებით რაღაც საკვირველი ხმა გაისმა. ამან წაბლა შეახტუნა და ოთხივე ფეხზე წამოახტუნა. ბატი ყვიროდა. ეს ყვირილი ჩვეულებრივი-კი არ იყო, დამარწმუნებელი და ლაქლაქა, არამედ რაღაცნაირი ველური, წვეტიანი და არა ბუნებრივი, ჭისკრის ჭრიალის მსგავსი. ძალოამ სიბნელეში ვერა გაარჩია-რა და ამიტომ უფრო მეტად შეშინდა და დაიღრინა:

— ღრრრ...

კარგა ხანი გავიდა. იმდენი, რამდენიც ერთი კარგი ძვლის გამოსახვრელადაა საჭირო. ყვირილი არ განმეორდა. ძალოა ცოტ-ცოტათი დამშვიდდა და ჩასთვლიმა. სიზმარში ორი ძაღლი ნახა. ფერდებზე შარშანდელი მატყლის ბლუჯები ჰქონდათ მიკრული. ისინი სიხარბით სჭამდნენ დიდ თაბახში ჩასხმულ ნარეცხს, რომელსაც თეთრი ორთქლი და საამური სუნი ასდიოდა. ხანდახან ძალოას გადმოჰხედავდნენ ხოლმე, კბილებს უკრაჭუნებდნენ და უღრინავდნენ: „შენ-კი არ გაჭმევთო". მაგრამ სახლიდან გლეხი გამოვიდა და ძაღლები შოლტით გარეკა. როცა ძაღლები წავიდნენ, ძალოა თაბახს მიუახლოვდა და სლაპვა დაუწყო. მაგრამ რა წამს გლეხი ჭისკარს მოეფარა, ის ორი ძაღლი ისევ გაჩნდა, ღრიალით ეცნენ ძალოას და... საკვირველი ხმა ერთბაშად ისევ გაისმა:

— ყი-ყი-ყი!—ყე-ყე-ყე!

ძალოა წამოხტა. თუმცა ნაალიდან არ გადმოვიდა, მაგრამ ზუზუნით მაინც დაიყეფა. მას ეგონა, ბატი-კი არა, სხვა, ვიღაცა უცხო ყვირისო. ამ დროს ფიცრულში ღორმა რაღაცა მიზეზით დაიღრუტუნა.

მაგრამ, აი გაისმა ფლოსტების ფლატუნი და სანთლით ხელში, ხალათში გახვეული ბატონი შემოვიდა. პატარა სინათლემ ჭუჭყიან კედლებსა და ჭერზე შეითამაშა და სიბნელე გააგდო. ძალოამ დაინახა, რომ ოთახში უცხო არავინ იყო. ბატი იატაკზე იჯდა და არ ეძინა. ფრთები გაეფაფხა, ნისკარტი აეღო და საზოგადოდ ისეთი შეხედულობა ჰქონდა, თითქოს ძალიან დაღლილა და სწყურიანო. ბებერ კატასაც არ ეძინა. ისიც, უეჭველია, ყვირილმა გააღვიძა.

— ივან ივანიჩ, რა მოგდის?—ჰკითხა ბატონმა ბატს.—რასა ყვირი, ავადა ხარ?

ბატი ჩუმად იყო. ბატონმა ხელი გადაუსვა და უთხრა:

— ტუტუცი ხარ! არც შენა გძინავს და არც სხვებს აძინებ.

როცა ბატონი გავიდა და თან შუქი გაიტანა, ისევ დაბნელდა. ძაღლს ეშინოდა. ბატი თუმცა აღარა ყვიროდა, მაგრამ ძალოას ისე ეჩვენებოდა, თითქოს სიბნელეში ვიღაცა უცხო სდგასო. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ამ „უცხოს" კბენა არ შეიძლებოდა, რადგან ის უხილავი და უყალიბო იყო. და რიღაცის გულისათვის ჰფიქრობდა ძალოა,

*) იხ. „დროება" N 233.

კრებას დაესწრნენ, დიდი დარბაზი იქნება საჭირო.

✦ გვთხოვენ ქველ-მოქმედებმა ყურადღება მიაქციონ ღარიბ ოჯახს ანნა საძაგლიშვილისას. ქვრივს საძაგლიშვილს ჰყავს ოთხი ქალი, უფროსი 11 წლისაა, არავითარი სახსარი არა აქვთ. ადრესი: ვერა, გუდაუთის ტუპიკი, № 7.

✦ ქართლიდან გვწერენ: „სოფ. ქვემო სობისში (გორის მაზრა) სოფლის ყარაულად ყოფილა ნიკა აწკარუნაშვილი. მას დაუნახავს გზაზე ძალზე მთვრალი მიხა ციცაგი, რომელიც მისულა და აწკარუნაშვილისთვის ჩხუბი დაუწყვია. ამ უკანასკნელს ურჩევია სახლში წასვლა და გამოძინება. ციცაგს ეს ძალზე სწყენია, წასულა სახლში და რამდენიმე ხნის შემდეგ გამოუტანია ხანჯალი, მიჰპარვია აწკარუნაშვილს და მუცელში დაურტყავს. აწკარუნაშვილი გარდაიცვალა, ხოლო ციცაგი სადღაც მიიმალა“.

✦ კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სოხუმიდან აცნობეს, რომ სოხუმიდან მეურნეთა კრებაზე გამოიგზავნება სოხუმის სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარე მარკევიჩი.

**შეცდომების გასწორება.** „დროების“ მე-232 ნომერში, ქიზიყიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში დაბეჭდილია: „ჩვენში არსად არ შეგხვედრივარ სამეურნეო გაზეთ მომავალს“. ნეტავი ვიცოდეთ ვისთვისა სცემენ გაზეთს, რომ აქეთკენ არც-კი ჰგზავნიან გასასყიდად“ უნდა იყოს სამეურნეო გაზეთს „მოსავალს“. გუშინდელ ნომერში (234) „თეატრსა და ხელოვნება“-ში, ერთი ამბის სათაურად დაბეჭდილია: „დრამატიულილი“. უნდა იყოს „დრამატიული საზოგადოება“.

## მოწერილი ამბავი

**ტეხურის წყლები.** (სამეგრელო), დარწმუნებული ვარ, ბევრს არც-კი გაუგონია ტეხურის სამკურნალო წყლები. იგი მდებარეობს სოფელ კურძუდან (სენაკის მაზრა) 25—30 ვერსის მანძილზე, ჩრდილოეთით, სამეგრელოს მთებში, თ-დ. დადიანების მამულში, სადაც მდინარე ტეხურის სათავეა. გასცდებით ზემოხსენებულ სოფ. კურძუს თუ არა, თქვენ წინ იშლება მომხიბლავი სურათი ბუნების სიდიადისა: მიდიხართ ვიწრო ბილიკით, რომელიც მაღალ მთებს მიჰკვრია სარტყელივით და დაბლა, თქვენ გვერდით, გველივით მიიკლაკნება მდინარე ტეხური, რაღაც საიდუმლო შხუილ-ბუტბუტით. გზაზე თქვენ თვალს იტაცებს ჭირვეულ-ყოფილი ტყე; ყოველს ნაბიჯზე ჰხვდებით თვალ-უწვდენელ სიმაღლის, საოცარ სიდიდის და სილამაზის მუხას, წიფელს და ცაცხვს.

გზაზევე შეგხვდებათ „ქობალიას ნახორი“-ში. ეს ნიშნავს ქობალიას ნამოსახლარს და, ამბობენ, ოდესღაც ვიღაც ქობალიას ჰქონია იქ მოსახლეობა, მაგრამ, ვინ იყო, ეს ქობალია, ან რისთვის სახლებულა იქ, ამაზე ვერაფერი მითხრეს ამ ადგილის მცოდნე მოხუცებმაც. „ქობალიას ნახორი“ ითვლება შუა გზად სოფლიდან სამკურნალო წყლებამდე. ამიტომ თუ მგზავრი გვიან მოვიდა აქ, დამეც აქ უნდა გაათიოს, რადგან ამის იქით ვერავინ ბინას ვერ იშოვნის... გზა კვლავ მდინარე ტეხურის ხეობით მიდის. ირგვლივ ისევ ტყეა. მხოლოდ მუხისა და წიფელის ნაცვლად ფიჭვი და ნაძვია. ამ ხეების სიდიდე-სიმშვენიერეზე ლაპარაკი მეტია... რამდენჯერმე გადი-გამოდიხართ მდ. ტეხურს და უკანასკნელად შეუდგებით საკმაოდ დიდ აღმართს, რომელსაც უწოდებენ ჩამჭორის (ჩამჭა—ხეა). თუმცა ეს დიდი აღმართია, მაგრამ ნაკეცი გზით მშვენიერი ასავალია...

აქ თავდება ტეხურის ხეობა, ფიჭვნარ-ნაძვნარიც და იწყება შიშველი მთა. აქვე უკანასკნელ ნაძვიან მაღლობზე წააწყდებით მოაგრაკეთა პირველ კარვებს, რომელნიც საუცხოვოდ წამოსკუპებულან კორტოხზე. აი აქედან გადაიხედავთ თუ არა, თქვენ წინ გადაიშლება საუცხოვო სურათი. ჰგრძნობთ, რომ ესტუმრეთ მთის საუფლოს: ჩანჩქები, სალი კლდე, მწვანით შემოსილი შიშველი მინდვრები ერთ-მეორეშია არეული. წყალ-ვარდნილებიც გიყვებით ხტიან თავბრუ დამსხმელ სიმაღლიდან. ნახავთ თოვლის ზვავებსაც, რომელნიც მთის მწვერვალებიდან ჩამოწოლილან და გაუვსიათ ხეობები...

აი, აქ არის გაფანტული მოაგრაკეთა კარვები. წელს იქ 200-მდე კარავი იყო. თითეულ კარავში, ორთა-შუა რიცხვით, 5 კაცი სცხოვრობდა, ასე რომ სულ ათასამდე მოაგრაკე იყო.

აქ არის მჟავე წყალი, გოგირდისა, რკინისა, „თეთრი წყალი“ და სხვა. აქაური მჟავე წყალი ძლიერ უახლოვდება თვისებით უწერის მჟავე წყალს, მხოლოდ იმაზე მაგარი და გაზიანია. მასთან რაჭაში ძლიერ სუსტად გამოდის წყალი, აქ კი ჩინებული დიდი წყაროა. გოგირდის წყალი კი შორიდან გაგრძნობინებთ თავს ვინაობას. შეხვალთ თუ არა იმ პატარა ხეობაში, სადაც იგი გამოდის, გეცემათ ძლიერი გოგირდის სუნი. მიხვალთ ახლო და ხედავთ: გამსკდარა სალი კლდე, ქვის ფიცარს გაუღია პირი და იქიდან გამოხეთქს გოგირდის წყალი. „თეთრი წყალი“ არ ვიცი რისგან შედგება. მხოლოდ რაღაც მინერალი რო ურევია ცხადია: ქვა, ქვიშა და საზოგადოდ მთელი კალაპოტი ამ წყლისა შეღებილია თეთრად. ყველაფერს აკრავს ზევით რაღაც ბუდრიანი თეთრი ფხვნილი, რომელსაც სტოვებს წყალი. ამ „თეთრ წყალში“ მხოლოდ ბანაობენ და ბუნებასაც საგანგებოდ მოუწყვია წყალი აბანოდ: მომდინარეობს რა ძლიერ მაღალ მთიდან, „თეთრი წყალი“ აკეთებს სამ-სართულიან წყალვარდნილს. პირველ სართულზე წყალი გეცემათ, როგორც მსხვილი წვიმა, მეორეზე — როგორც წვრილი წვიმა და მესამეზე — უშველებელ სიმაღლიდან გეპკურებათ, როგორც ნამი. „თეთრი წყლის“ წყალვარდნილები და გოგირდის წყალი ერთს ვიწრო ხეობაშია.

თუ ამ ხეობის შესავალთან დაინახეთ ბაირაღი — მაღალ ჯოხზე ჩამოკიდებული წითელი ყაბალახი — ეს იმის ნიშანია, რომ ბანაობენ მამა-კაცები. როცა ქალები ბანაობენ, წითელ ყაბალახის ნაცვლად თეთრი ლეჩაქი ჰკიდია. ხან და ხან დაინახავთ ბერის ქუდსაც და ესეც, რასაკვირველია, იმის ნიშანია, რომ აბანოებით სარგებლობს, ასე ვთქვათ, ეს საშუალო სქესი. ეს უბრალო ნიშნები, ეს სიმარტივე, რაღაც ორიგინალურია.

ჰაერი აქ ბევრად უკეთესია, უფრო წმინდა, მაღალი და სასარგებლო, ვიდრე სადმე სხვაგან სამკურნალო წყლებზე.

აქაურ მჟავე წყლისა ხომ ყველა მადლიერია. მადიარიით ავადმყოფნი, კუჭის ტკივილით, სისხლ-ნაკლებნი, ნერვებიანნი და სხვანი საკვირვლად იკურნებიან აქ. ზოგიერთ შემთხვევაში ისეთი დავრდომილი ავადმყოფები განიკურნენ აქ, რომელთაც ბევრი ადგილი მოუვლიათ საქიმოდ, მაგრამ ვერაფერს გამხდარან და ბოლოს, აქ მორჩენილან. სეზონი გრძელდება აქ თვე ნახევარს: 1-ლ ივლისიდან 15 აგვისტომდე.

ბინა და ცხოვრება აქ ძლიერ იაფია. ბინა წელს არშინი ორ მანეთად ქირავდებოდა. სანოვაგე, რადგან აქ ჯოგები ბევრი, ძალიან იაფი იყო: ბოთლი რძე — შაური, თუ ხორცი — ხუთი შაური, ყველი გირ. — ორი შაური.

კაი.

---

რომ იმ ღამეს ცუდი რამ უნდა მომხდარიყო. კატაც მოუსვენრად იყო. წაბლას ესმოდა, რომ ის თავის ნაალზე ბორგავდა, ამთქნარებდა და თავს იქნევდა.

სადღაც ქუჩაში ჭიშკარმა დაიბრახუნა და ფაცხულში ღორმა დაიღრუტუნა. წაბლამ დაიწკმუტუნა, წინა თათები გაიშვირა და ზედ თავი დასდო. ჭიშკრის რახუნში, უძილო ღორის ღრუტუნში, სიბნელეში და სიჩუმეში ისეთივე დარდიანი და საშინელი რამ მოეჩვენა რაც ბატის ყვირილში. ყველაფერი მოუსვენარი და აღელვებული იყო. მაგრამ რათა? ვინ არის ეს უცხო, რომელიც არა ჩანს? აი, წაბლას ახლო ორმა მკრთალმა ნაპერწკალმა ერთი წამით იფეთქა. ნაცნობის მთელ ხანში კატა ეს პირველად შევიდა წაბლასთან. რა უნდა? წაბლამ თათი აულოკა, მაგრამ იმაზე კი არა ჰკითხა რა, თუ რისთვის მივიდა. მერე ნელა და სხვა და სხვანაირის ხმით აწკმუტუნდა.

— ყე-ყე-ყე. — დაიყვირა ბატმა — ყე-ყე-ყე!

კარი კვლავ გაიღო და ბატონი სანთლით შემოვიდა. ბატი წინანდებურად იჯდა — ფრთებ გაშლილი და ნისკარტ გაღებული.

— ივან ივანიჩ! — დაუძახა ბატონმა.

ბატი არ გაინძრა. ბატონი იმას წინ იატაკზე დაჯდა, ცოტა ხანი ჩუმად უცქირა და სთქვა:

— ივან ივანიჩ, ეს არის? ჰკვდები თუ? ჰო, ეხლა მივხვდი, მომაგონდა. — შეჰყვირა მან და თმებში ხელი წაივლო: — ვიცი რისგანაც არის! დღეს შენ ცხენმა წიხლი გკრა. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

წაბლა ბატონის სიტყვებს ვერ მიმხვდარიყო, მაგრამ სახეზე კი ჰხედავდა, რომ ის რაღაც საშინლებას უცდიდა. წაბლამ თავი ბნელ ფანჯრისაკენ მიიღო იქით, საიდანაც ვითომ ვიღაცა უცხო იცქირებოდა და დაიწკმუტუნა.

— ეს კვდება, წაბლო! — სთქვა ბატონმა და ხელები შეაქნია. — დიაღ, კვდება! თქვენს ოთახში სიკვდილი შემოვიდა რაღა ვქნათ?

შეწუხებული ბატონი თავის ოთახში დაბრუნდა. წაბლას სიბნელეში დარჩენისა ეშინოდა და ბატონს გაჰყვა. ბატონი საწოლზე ჩამოჯდა და რამდენჯერმე გაიმეორა:

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაღა ვქნა?

წაბლა იმის ფეხთ წინ დადიოდა; არ ესმოდა, ასეთი დარდი რისთვის შემოაწვა, ან ყველანი რასა სწუხდნენ. წაბლა ბატონის ყოველ მოძრაობას თვალ ყურს ადევნებდა და სცდილობდა, ყველაფერს მიმხვდარიყო. კატაც, რომელიც თავის ნაალს იშვიათად მიაშორდებოდა ხოლმე, ეხლა ბატონის საწოლ ოთახში იყო და იმის ფეხებს ეხახუნებოდა; თან თავს იქნევდა, თითქოს იქიდან მძიმე აზრების გამოფანტვა უნდოდა და ტახტ-ქვეშ საეჭვოდ იცქირებოდა.

ბატონმა ლამბაქი აიღო, ხელსაბანიდან ზედ წყალი დაასხა და ისევ ბატთან წავიდა.

— დალიე, ივან ივანიჩ! — უთხრა ნაზად ბატონმა და ლამბაქი იმის წინ დასდგა: — დალიე, გენაცვა.

მაგრამ ბატი არ გაინძრა და არც თვალი დაალო. ბატონმა თავი დაუღუნა და ნისკარტი წყალში გაუვლო. ბატი მაინც არა სვამდა, ფრთები უფრო ძალიან გაფაფხა და თავი ლამბაქში ჩადებული დარჩა.

— არა! ვეღარაფერს ვუშველი! ამოიოხრა ბატონმა. — ყველაფერი გათავდა, დაიღუპა ივან ივანიჩი!

და იმის ლოყებზე ბრჭყვიალა წვეთები ჩამოდინარდა, ისეთი, როგორიც წვიმის დროს ფანჯარაზეა ხოლმე. წაბლა და კატა ვერაფერს ვერ მიმხვდარიყვნენ, ბატონს მიეკვრნენ და ბატს შიშით შესცქეროდნენ.

— საწყალი ივან ივანიჩი! — ოხვრით ამბობდა ბატონი: — მე კი ვოცნებობდი, რომ გაზაფხულზე აგარაკად წაგიყვანდი და იქ მწვანე ბალახზე გასეირნებდი. საამურო ცხოველო, კარგო ამხანაგო, აღარა მყევხარ, ეხლა უშენოდ იოლას როგორ წავიდე?

წაბლას ეგონა, რომ ასეთი ამბავი იმასაც მოუხდებოდა, ე. ი. ისიც ასე, ვინ იცის რა მიზეზით, თვალებს დახუჭავს, ფეხებს გასჭიმავს, კბილებს დააკრაჭუნებს და ყველანი შიშით დაუწყებენ ცქერას. როგორც ეტყობოდა, კატასაც ასეთივე აზრები უტრიალებდა. სხვა დროს კატა ასე პირქუში და გაჯავრებული არა ყოფილა.

თენდებოდა და ის უხილავი უცნობი, რომელიც წაბლას ისე აშინებდა, ოთახში უკვე აღარ იყო. როცა სრულიად გათენდა, მეეზოვე მოვიდა, ბატს ფეხებში ხელი წაავლო და სადღაც წაიღო. ცოტა ხნის შემდეგ ბებერი დედაკაცი გაჩნდა და თაბახი გაიტანა. წაბლა სასტუმრო ოთახში გავიდა და შკაფს უკან გადაიხედა. ქათმის ფეხი თავის ადგილას იყო, მტვერსა და აბლაბუდაში ბატონს ის არ შეეჭამა, მაგრამ წაბლა მოწყენილი და დარდიანი იყო და ეტირებოდა. მან ქათმის ფეხს არც კი დაჰყნოსა. დივნის ქვეშ შეძვრა, დაჯდა იქ და ნელა, წმინდა ხმით წკმუტუნი დაიწყო:

— კწმმ... კწმმ...

ი. ტ.

(დასასრული იქნება)

---

# ვინ მტრობს დედა-ენას?

(წერილი რედ. მიმართ).

ყოველკვირეულ ალმანახის „ჩვენი ერი“-ს 1-ლ ნომერში მოთავსებულია მეთაური წერილი ამ სათაურით „სამშობლო ენას თავიდანვე პატრონობა უნდა“. წერილი ფრიად საჭირ-ბოროტოს, თუმცა მრავალჯერ აღძრულ საკითხს დედა-ენის დაქვეითებას ეხება და მოუწოდებს ერის საუკეთესო ნაწილს, ე. ი. შეგნებულ მამულიშვილებს, რომ მათ ამ თავითვე მიიღონ თავიანთ თავზე სამშობლო ენის პატრონობა. სამშობლო ენის დაქვეითებას მეთაურის ავტორი ასე ხსნის:

„დღეს ჩვენ ისეთს ისტორიულ ხანაში ვართ, როცა შესუსტებულია ჩვენ ცხოვრებაში ის უხილავი ისტორიული და თანამედროვე ფსიხიური ძაფები, რომლითაც პიროვნებანი ურთიერთ შორის ერთობას ჰგრძნობენ... და ამ გრძნობა-შეგნების ძალით სცდილობენ ერს ემსახურონ“.

ავტორის აზრით, „ოჯახში ქართული დღეს შემოკლებულია, რადგან მან დაჰკარგა კავშირი წარსულთან“.

სკოლაც ჩვენს წინააღმდეგაა მომართული, რადგან ჩვენი მოზარდი თაობა განათლებას ღებულობს და მეცნიერებას იძენს უცხო ენაზე და არა ქართულზე.

„სამწუხაროდ, განაგრძობს წერილის ავტორი, ჩვენ ვერ შევსძელით არამც თუ ამ ძირითად დაბრკოლების დაძლევა, ის მცირედი კუნჭულიც თანამედროვე სკოლისა ვერ დავიცავით და გავამაგრეთ, რომელიც სახელმწიფომ მოგვაკუთნა. როგორც ვიცით, ყოველ სასწავლებელში რამდენიმე გაკვეთილი დათმობილი აქვს ქართულ ენასაც. მართალია, ეს გაკვეთილები უფრო ხშირად უკანასკნელ საათებს შეიცავს, მაგრამ დიდის მოლოდინში მცირედისთვის მაინც უნდა მოგვევარა, რომ მალე სულ არ წაგვეგო საქმე“.

ავტორის აზრით, საზოგადოების გულ-გრილობის შედეგია დედა-ენის „ის აბუჩად აგდება, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ“. არავინ ჩვენგანი „ყურადღებას არ აქცევს, თუ ვინ ასწავლის დღეს ჩვენ სკოლებში ქართულს, საზოგადოდ ასწავლიან თუ არა, და თუ ასწავლიან, — როგორ? ამ უყურადღებობამ, საზოგადოების მხრივ, ლამის სულ ჩააქროს ქართული ენა მთავრობის სასწავლებლებში“.

ამნაირად, წერილის ავტორი ქართული ენის დაბეჩავების მიზეზად სთვლის: ერთის მხრით — მთავრობის შექმნილ პირობებს, მეორე მხრით — საზოგადოების გულ-გრილობას და დაასკვნის:

„ცხადია, თანამედროვე პირობებში ჩვენ ბევრს ვერას გავხდებითო“ და მთელი თავისი იმედი „კერძო თვით-მოქმედება“-სა და „საზოგადოებრივ დაწესებულებათა გარეშე შეგნებულ მუშაობაზე“ გადააქვს. ამნაირად:

მეთაურის წერილის ავტორის აზრით, ქართული ენის სწავლის გზა ჩვენთვის დახშულია თანამედროვე პირობებში“.

ამოწერილი სიტყვები ბევრის მხრით სამართლიანია, მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რომ პატივცემულს წერილის ავტორს ნათლად ვერ აქვს წარმოდგენილი ჩვენს სკოლებში ქართული ენის დაქვეითებისა და მისი ბეჩავის მდგომარეობის მიზეზები. რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ეს მიზეზები, საჭიროა შევუდაროთ ორის ადგილობრივი ენის ქართულისა და სომხურის სწავლების დაყენება ჩვენს ადგილობრივ საშუალო სასწავლებლებში. სომხურ ენას და, მაშასადამე, ქართულსაც, როგორც მეზობელ ენას, მეტი ყურადღება იმ სკოლებში აქვს მიქცეული, საცა ადგილობრივი ენების გაუმჯობესებაზე ზრუნვა უმეტეს ნაწილად სომხის საზოგადოებაზეა დამოკიდებული. სწორედ ამგვარებია ზოგიერთი ადგილობრივი ახალის ტიპის საშუალო სასწავლებლები, რომელთა სამზრუნველო კომიტეტები, თუ სამასწავლებლო კომისია უმეტეს ნაწილად შესდგება სომეხ მოქალაქეთაგან, ე. ი. იმ ერის საზოგადოების წარმომადგენელთაგან, სადაც მოქალაქობრიობის გრძნობა საკმაოდ არის განვითარებული. მაშასადამე, ამ სკოლებში მაინც ასე თუ ისე პირობები ხელს უწყობენ, როგორც სომხურის, ისე ქართული ენის სწავლების სასურველად მოწყობას.

მაგრამ, სამწუხაროდ, იმ სკოლებში, სადაც, ვიმეორებთ, საკმაოდ ხელ-შემწყობი პირობებია ქართული ენის წარმატებისთვის, ქართული ენა ბევრად ცუდად არის დაყენებული, ვიდრე მეზობელი სომხური, და ამაში კი არავის იმდენი ბრალი არ ედება, რამდენიც ჩვენი საზოგადოების შეგნებულ ნაწილს ანუ ინტელიგენციას, რომელსაც, რა თქმა უნდა, ეკუთვნიან აგრეთვე ქართველი მასწავლებლებიც. სომხის ინტელიგენციის წინააღმდეგ, ჩვენს ინტელიგენციაში, ძალიან ნაკლებ არის განვითარებული მოქალაქობრიობის გრძნობა, მას არა აქვს მტკიცე რწმენა თავის დანიშნულების, მას ვერ შეუგნია თავისი მოვალეობა ქართველი საზოგადოების წინაშე.

ამიტომ, რა თქმა უნდა, ქართველი მასწავლებელიც, როგორც ჩვენი ინტელიგენციის ღირსეული ნაწილი, გვაძლევს უკულტურობისა და მოქალაქობრივად მოუმწიფებლობის აშკარა ფაქტებს.

მოვიყვანოთ მაგალითები:

ერთის ადგილობრივი ახალი ტიპის საშუალო სასწავლებლის დაარსების დროს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ადგილობრივ ენების სწავლების საქმეს: დამაარსებლებმა ერთხმად აღიარეს ის პრინციპი, რომ ქართულისა და სომხურის ენების სწავლება მინდობილი ჰქონოდა საგნის შეგნებულად მცოდნე სპეციალისტებსა და არა ყველა ქართველ-სომეხ საშტატო მასწავლებელს, რომელიც კი მათ სწავლებას მოისურვებდა. მაგრამ სამზრუნველო კომიტეტი რას გახდებოდა, როდესაც სკოლის მესვეური და გამგე კორპორაცია იყო, და აი აქ იჩინა თავი ქართველთა სწორედ იმ თვისებამ, რომელსაც ჩვენ არა მარტო მოვალეობის შეუგნებლობას, არამედ კიდევ მეტს ვუწოდებთ. იმ გარემოებამ, რომ ქართული გაკვეთილისთვის იგივე სასყიდელი დააწესეს, რაც სხვა საგნების, გამოიწვია გამოუთქმელი ქართული ენის სწავლების სურვილი. მისი სწავლება მოინდომა თითქმის ყველა ქართველმა მასწავლებელმა. გააუქმებენ პარალელურ კლასებს, თუ შეუმცირებენ გაკვეთილების რიცხვს ტომით ქართველს კლასის მეთვალყურეს, „ნადზირატელს“, ან მოსამზადებელი კლასის ქართველ მასწავლებელს, იგი მაშინვე მოინდომებს ქართული გაკვეთილების ხელში ჩაგდებას, და, რასაკვირველია, ადვილად ახერხებს, რადგან ქართული ენა დაბალ ლობედ არის მიჩნეული სკოლის ადმინისტრაციის თვალში და შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, მიეცეს ჯილდოდ იმას, ვინც მოხელე-მასწავლებლის ერთგულებით თავს ისახელებს. აქედან აშკარაა სპეციალურად მომზადებული მასწავლებლის დევნის პრინციპი. აქ, რასაკვირველია, გასამტყუნარი არ არის არც მთავრობა, არც ოჯახი; პირიქით, მთელი ბრალი ქართველ ინტელიგენტ-მასწავლებელს ედება. სპეციალურად მომზადებულის პირების დევნა ხელსაყრელია იმ ერთგვარის მიმართულების „მამულიშვილთათვის“, რომელთა ამ შემთხვევაში სილაღეს საზღვარი არა აქვს. მათ პირადი ინტერესი იმდენად აბრმავებს, რომ სრულიად ავიწყებინებს საკუთარი მოვალეობის შეგნების გრძნობას. ისინია, რომ აგონებენ სასკოლო მთავრობას, ქართულის ენის ცოდნა მხოლოდ დედის ნანდერძების სასაუბრო ენის ცოდნაა და ქართული ენისა და ლიტერატურის მთელის მასალის ღრმა შესწავლაო.

ამნაირად იქაც კი, სადაც შესაძლებელი იყო სასურველი დაყენება ქართული ენის სწავლების, ჩვენის მოწონებული „მამულიშვილების“ მეოხებით, გაბატონებულია პრინციპი მიანდონ ქართული ენა ყველა ქართველ მასწავლებელს, ვინც კი მოისურვებს. სურვილით კი ყველას სურს. სურს ასწავლოს ყველამ, ვისაც სხვა საგნის ცოდნა არა სწყალობს და კლასის მეთვალყურის ან „ნადზირატელის“ ჯამაგირით ვერ კმაყოფილდება, ჰსურთ ასწავლონ მოხელე-მასწავლებლებმა, რომლებიც ჯამაგირის გადიდებას სცდილობენ და, რასაკვირველია, ახერხებენ, რადგან მათ ძალიან კარგად იციან, რომ ქართული ენა, მთავრობის განმარტებით „Внѣ графы“-ა და, როგორც ამგვარი, შეიძლება ჯილდოდ მიეცეს ყველა სამსახურში ერთგულს ქართველ-მოხელეს. აქ საყურადღებო ის არის, რომ სომეხი-მასწავლებლები ამ შემთხვევაში სრულებით არ იჩენენ ისეთ აშკარა უპრინციპობას, როგორსაც ქართველები. პირიქით, ისინი ზიზღით უყურებენ თავიანთი მოძმე ქართველების ამგვარ საქციელს და გაოცებით წარმოსთქვამენ ხოლმე: „საკვირველია, რას უნდა მიეწეროს ქართველის მასწავლებლის მხრით საკუთარის ენის ამგვარი აბუჩად აგდება?!“ — ო საზოგადოებასთან ერთად ისინიც დაინტერესებული არიან დედა-ენის სწავლებით და ყოველთვის აძაგებენ იმ გვარ უპრინციპობას, როგორსაც ისინი ქართველების მხრით ხედავენ. ამიტომ არის, რომ ზოგიერთ სასწავლებელში 40 სომხური გაკვეთილისთვის ერთი ან ორი სპეციალისტი აღმოსავლეთის ფაკულტეტ-გათავებული მასწავლებელია მოწვეული, მაშინ, როცა ქართული ენის ოციოდე გაკვეთილზე 6-მდე ქართველი მასწავლებელია [illegible]: ეს მასწავლებლები, რა თქმა უნდა, უმეტეს ნაწილად, ინსტიტუტლებია და, მაშასადამე, მოსამზადებელის კლასის საგნების მასწავლებლებია; იმათი სილაღე იქამდის მიდის, რომ ისინი მე-7 და მე-8 კლასებშიაც კი ასწავლიან ქართულ ენას. დაბალი ლობეა და გაუდისთ!

სანამ ნაკლებ სახარბიელო იყო ქართულის ენის მასწავლებლობა, მანამ მეტოქეც ცოტა ჰყავდა ქართული ენის მასწავლებელს, ხოლო როგორც კი სადმე გააუმჯობესეს ქართული ენის მასწავლებლის მდგომარეობა, მყისვე ეს კურთხეული, ვითომ და შეგნებული მამულიშვილი მასწავლებლები გადაელობენ ქართული ენის სწავლების კეთილწარმატების გზას. ის კი არა და — დღეს იშვიათად შეხვდებით ისეთ ქართველ მასწავლებელს, ნამეტურ თუ სამასწავლებლო სემინარია ან ინსტიტუტი აქვს გათავებული, რომელსაც საკმაო გაკვეთილი არა აქვს, არა სცდილობდეს ქართული გაკვეთილების ხელში ჩაგდებას და მთელს თავის ძალ-ღონეს არა ხმარობდეს დასტაცოს ქართული ენის სპეციალურად მცოდნეს ორიოდე ქართული გაკვეთილი. ქართველ მასწავლებელში იმდენად მომწიფებული არ არის მოქალაქობრიობის გრძნობა, რომ ქართული ენის სწავლებაზე უარი სთქვას, ოღონდ კი მას აძლევდეს სამასწავლებლო ინსტიტუტისა და სემინარიის მოწმობა საზოგადოდ მასწავლებლის უფლებას. ის თავის დღეშიაც არ დაეკითხება თავს, ავალებს თუ არა მას რაიმე ცოდნას ქართული ენის სწავლების საქმე. და აი კიდეც ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართული ენა, ისედაც დაბალი, კიდევ უფრო დაბალ ლობედ გადაიქცა საგულ-კუქო „მოღვაწე — ლიბერალებისთვის“. ყველა ადგილობრივ სამინისტრო საშუალო სასწავლებელშიაც ქართული ენის სწავლების სამწუხარო-მდგომარეობის მიზეზი ქართველი მოხელე-მასწავლებლები, ან ქართველი „ნადზირატელები“, კლასის მეთვალყურენი და სხვანი არიან (რომლებიც ხშირად მე 8 კლასშიაც კი ასწავლიან) ხშირად ისეთი პირებიც კი არიან ქართული ენის მასწავლებლად, რომლებიც ოჯახში უკადრისობენ და დასცინიან ქართულ ენას. ამასთან ყველა იმ სკოლებში, სამინისტრო იქნება თუ საზოგადო, საცა კი მოხვდება სპეციალურად მომზადებული მასწავლებელი, ყველა ქართველი მასწავლებელი მის წინააღმდეგ ერთს პირს შეჰკრავენ და საერთო მეცადინეობით სცდილობენ ხელი შეუწყონ იმ პრინციპის გამეფებას, რომლითაც მოსამზადებელის კლასის მასწავლებელი მარჯვედ აწარმოებს ქართული ენის გაკვეთილებს ძირითად კლასებშიაც. ამ გვარი საპედაგოგო პრინციპის გამეფების (რაც ჩვენი მოქალაქობრივის მოუმწიფებლობის აშკარა ფაქტია) მავნებლობა ქართული ენის სწავლებისთვის აშკარაა.

ის მასწავლებლები, რომლებიც თავის სახეიროდ იყენებენ ამ გვარ პრინციპს, ყოველთვის სცდილობენ კრიჭაში ჩაუდგენ ქართული ენის სპეციალისტ მასწავლებელს და შეეცადონ საერთო ძალით შეაგონონ სკოლის უფროსს და მოწაფეთაც დაუნერგონ ის აზრი, რომ ქართულის ენის, როგორც არა სავალდებულო საგნის, სწავლება შეუძლიან ყველას, რომ ამისთვის მომზადება საჭირო არ არის, რომ დროც არ არის სხვა საგნებივით საფუძვლიანად შესწავლილ იქმნას ქართული ენა სკოლებში და დასასრულ, იმის უფლებაც წაართვან კეთილ-სინიდისიერ მასწავლებლებს, რომ მოსთხოვონ ამ უკანასკნელებმა მოწაფეებს დედა-ენის საფუძვლიანი ცოდნა. ცხადია, თუ ამგვარი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, იგი ხელს შეუწყობს დედა-ენის სწავლების სრულს გაუქმებას და მოსპობას იმ სკოლებში, სადაც დღეს ცოტად თუ ბევრად პატივცემულია ჩვენი დედა-ენა და თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თუ დღემდე რამდენადმე აბოგინებენ ადგილობრივ სამინისტრო და საზოგადო სასწავლებლებში ქართულს ენას, ესეც ჩვენი მეზობლის სომხის ინტელიგენციის წყალობა გახლავთ. სომხის ინტელიგენცია იცავს თავის ენას, ამაგრებს ამით ადგილობრივი ენის სწავლების დედა-ბოძს და ჩვენ კი ძათი კალთის ნაბერტყით ვიტანთ თავს.

ი. ა—ძე.

# სასამართლო

**ბოქაულის საქმე.**

როგორც გუშინ ვწერდით, 20 ოქტომბერს ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ახლციხის მაზრის, ბარალეთის ნაწილის ბოქაულის გ. სულხანიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა სამსახურის აღსრულების დროს უფლების გადამეტება.

ამ ბრალდებას ასე გადმოგვცემს საბრალმდებლო ოქმი:

1907 წელს, 1 ოქტომბერს, ღამე ბარალეთის ბოქაულს გ. სულხანიშვილს მიუღია ამბავი, რომ ცნობილი ყაჩაღი ფირ-მაჰმედ-ოღლი იმალება სოფ. ბაზარხანაში (ახალციხის მაზრა) ფირ-გუსა-ოღლის ოჯახშიო. ამ ამბის გაგებისათანავე ბოქაული ხუთის დარაჯისა და რვა ყაზახის თანხლებით წასულა სოფ. ბაზარხანაში. გარდა ამისა, დაუბარებია კიდევ დასახმარებლად ყაზახები ახალქალაქიდან. სულხანიშვილს, მისვლისათანავე, ალყა შემოურტყამს სოფლისათვის და დაუწყვია ჩხრეკა მცხოვრებლებისა, მხოლოდ რადგან ვერ გაუბედნიათ ფირ-მუსა-ოღლის ოჯახის გაჩხრეკა, სადაც ეგულებოდათ ყაჩაღი, უბრძანებია ბოქაულს, როგორც ფირ-მუსა-ოღლის, ისე ახლო-მახლო მეზობლების სახლების საწურავების მთლად ახდა. ამ დროსთვის კიდევაც მოუსწრია საშველად გამოწვეულ 22 ყაზახს, რომელთაც შეუკრავთ სოფელი. ორი-სამი სახლის გაჩხრეკის შემდეგ, ბოქაული სულხანიშვილი ყაზახების უფროსთან ერთად მოთავსებულა ერთ სახლის ბანზე, ხოლო დანარჩენ სახლების ჩხრეკა მიუნდვია დარაჯებისა და ყაზახებისათვის, რომელთათვისაც წინამძღოლობა გაუწევიათ ბოქაულის მიერ გზის საჩვენებლად წაყვანილთ: არაქელა ბალიევს, ამირასტან ფირ-ოღლის და ალი-ქარუმ-ოღლის.

როდესაც ბოქ. სულხანიშვილი წასულა თავის საბოქაულოში, ბაზარხანის მცხოვრებნი საჩივრით მიუმართავთ ახალციხის პოლიციისთვის და განუცხადებიათ, რომ ბოქაულის ბრძანებით გვცემეს, ჩხრეკის დროს აშკარად მოგვტაცეს ფული და სხვა და სხვა ნივთები და ქონება, თამირ-რაჯაბ-ოღლის და თაირ-რაშიდ-ოღლის ცოლები გააუპატიურეს და ქადიმ-ჰასან-ოღლის და დურსან-ოღლის სახლები დაუნგრიესო. შამილ ალახვერდი-ოღლის განუცხადებია: მოსვლისათანავე მივედი ბოქაულთან, მაგრამ მისის ბრძანებით მცემეს და როდესაც სახლში დავბრუნდი, იქ დამხვდნენ დარაჯები და ყაზახები ბალიევთან ერთად, წამართვეს 105 მან., ვერცხლის მორთულობა და ჩემი ცოლი კი ჩემს თვალწინ გააუპატიურესო. როგორც ამასვე უჩვენებია, სოფლისათვის პურის სასყიდლად მიმავალ ფირო-მამედ-ოღლისთვის წაურთმევიათ 1,300 მან. და როდესაც მიუმართავს ბოქაულისათვის, ჯოხით უცემია. ცემაზე უჩივლია აგრეთვე მამასახლისს ყარიბ-ვალი ვეზიროვს და თან დაუმატებია, როგორ გააუპატიურეს იმის თვალ-წინ ერთი ქალი და დაუმატებია ისიც, რომ ჩასთან უჩივლიათ ქალებს და, თუ ახლა შალავენ, ეშინიათ ექიმების გასინჯვისაო.

ამ საქმეზე იყო გამოწვეული სულ 14 მოწმე, მაგრამ სამი არ გამოცხადდა.

ბრალდებულმა სულხანიშვილმა თავი დამნაშავედ არ იცნო, ხოლო მისმა დამცველმა ნაფიცმა ვექილმა ტურკევიჩმა შეაქო სულხანიშვილის მოქმედება ყაჩაღების დევნაში და მეფის ერთგულებაში და ითხოვა მისი გამართლება.

სასამართლომ დიდი ხნის თათბირის შემდეგ უდანაშაულოდ იცნო სულხანიშვილი და გაამართლა.

# შორეულ აღმოსავლეთში

**იაპონიის ჯარის ადლუმი.**

უცხოეთის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან, რომ ახლო მომავალში მოხდება დიდი ადლუმი იაპონიის ჯარისა. ადლუმში მონაწილეობას მიიღებს შვიდი კორპუსი. ამ ადლუმის დანიშვნა თვით მიკადოს მოუსურვებია. ამბობენ, იაპონიის ჯარს არ ახსოვს ასეთი დიდი ადლუმი. იაპონიის გაზეთები შენიშნავენ, პირველი ადლუმის შემდეგ ჩინეთ-იაპონიის ომი დაიწყო, მეორე ადლუმს რუსეთთან ომი მოჰყვა, ხოლო 1909 წლის დიდი ადლუმი თით ქოს ომის გენერალური რეპეტიცია არისო.

ადლუმში მონაწილეობას იღებს 70.000 კაცი. თითონ მიკადო მეთოთხმეტე კორპუსის უფროსად იქნება და ადლუმში მხურვალე მონაწილეობას მიიღებს. ეს მეთოთხმეტე კორპუსი სამხრეთის რაზმში შევა და დანიშნულება ექნება მოიგერიოს მოსეული რაზმი.

**აჯანყება კორეაში.**

იაპონიის მთავრობამ ცნობები მიიღო კორეიდან, რომ იტოს მოკვლა ნიშანია აჯანყების დაწყებისა. მთავრობას აზრადა აქვს კორეის დამცველი ჯარი გააძლიეროს.

კორეის სატახტო ქალაქ სეულიდან იუწყებიან, სამხრეთ კორეაში იაპონელმა ჯარმა გაილაშქრა აჯანყებულ კორეელების წინადმდეგ. სამი საზღვაო გემი კორეის სანაპიროებს დასტრიალებს, ხმელეთის ჯარი კი პირდაპირ სდევნის აჯანყებულთ, იაპონელებს რამდენჯერმე შეტაკება მოსვლიათ აჯანყებულ კორეელებთან და გაუფანტიად კიდეც კორეელებს მთიან ადგილებში შეუფარებიათ თავი.

**კორეის შეერთება.**

უცხოეთის გაზეთებს ატყობინებენ ტოკიოდან, თუმცა იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტრო გადაჭრით აცხადებს, იაპონია ისეთ ძველ პოლიტიკას აწარმოებს კორეაშიო, მაგრამ საზოგადოთ უცვლა იმ აზრისა, რომ იაპონიამ საბოლოოდ უნდა შეიერთოს კორეიაო. იაპონელ ჟურნალისტთა კრებამ სეულში დაადგინა, კორეა უთუოდ უნდა შეიერთოს იაპონიამაო.

**იაპონიის საწინააღმდეგო აგიტაცია.**

ჩინეთში დიდ აგიტაციას ეწევიან იაპონიის წინააღმდეგ. აგიტაცია იმდენად გაძლიერებულია, რომ ჩინეთის მთავრობა იძულებულია ზომები მიიღოს. გაზეთები „ნაციონალი“ და „ცენტრალი“ დახურეს იაპონიის საწინააღმდეგო აგიტაციისთვის.

საზოგადოებრივი აზრი სასტიკად ჰკიცხავს მთავრობის მოქმედებას. მთავრობა იძულებულია ანგარიში გაუწიოს ხალხის ხმას და დახურულ გაზეთების ადგილზე გამოსულ ახალ გაზეთებს არა ხურავს, თუმცა უმაღლესი ბრძანებით გამომცემლობა სრულებით უნდა მოსპობილიყო.

**იტოს ძეგლი.**

იაპონელებს გადაუწყვეტიათ ძეგლი აგონ იტოს სამშობლოში. ძეგლზე დააწერენ, თუ რა მთავარი ღვაწლი მიუძღვის იტოს სამშობლოს წინაშე.

# საბერძნეთის ამბები

**პარლამენტის სესიის დახურვა.**

გაზეთები გადმოგვცემენ, რომ საბერძნეთის პარლამენტის დახურვა აუცილებელი არისო. ათინაში ყველა დარწმუნებულია, რომ მეფე გიორგი ტახტიდან გადადგება და კიდეც წავა საბერძნეთიდანაო.

**სახელმწიფოების ჩარევა.**

ინგლისისა, რუსეთისა და საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროებმა თავ-თავიანთ აზრი გაუზიარეს ერთმანეთის საბერძნეთის მდგომარეობის შესახებ. სამივე სახელმწიფო წინააღმდეგია საბერძნეთის შინაურ საქმეებში ჩარევისა თუ საქმე გამწვავდა, ინგლისი თავის თავზე მიიღებს მეფე გიორგის პიროვნების ხელუხლებლობის დაცვას. ინგლისმა კიდეც შეატყობინა მეფე გიორგის, რომ საბერძნეთის სანაპიროებზე ინგლისის გემი იქნება და მეფეს შეუძლიან ეს გემი თავის განკარგულებაში იყოლიოსო. მეფე გიორგიმ უარი შეუთვალა.

**ინგლისის გაზეთები საბერძნეთის ამბებზე.**

ინგლისის გაზეთი „შტანდარტი“ ეხება საბერძნეთის ამბებს და ამბობს, რომ მთავრობამ საშინელი სისუსტე და უნიჭობა გამოიჩინაო. საბერძნეთის ჯარმა ევროპის სიმპატია დაჰკარგა, რადგან მოიწადინა სამოქალაქო მართვა გამგეობის ხელში ჩაგდებაო. ბერძნებს პატრიოტებმა უნდა ჰკითხონ თავის თავს, რა მიზეზია რომ მთელი ევროპა ასე დიდი თანაგრძნობით ეპყრობოდა ახალგაზრდა ოსმალთა მოძრაობას, ხოლო საბერძნეთის რევოლიუციონერებს უნდობლად ეკიდებაო. „Morning Post“-ი შენიშნავს: ზოგიერთ ქვეყნებში რევოლიუცია საუკეთესო საშუალებაა ერის ცხოვრების გასაახლებლად და მთავრობის უსინიდისობის უღლის მოსახსნელად. ესევე არ ითქმის საბერძნეთზე, სადაც ხალხი არ თანაუგრძნობს ჯარის მოძრაობას, რომელიც მხოლოდ სამხედრო უწესოებას ახდენს.

# უცხოეთი

**ფერერის უკანასკნელი სურვილი.**

„ჰუმანიტეში“ დაბეჭდილია ფერერის უკანასკნელი სიტყვა. აქედან აშკარადა სჩანს, რომ ფერერი სულის ამოსვლამდე თავის საყვარელ საქმეზე ფიქრობდა. დახვრეტის წინ ფერერს უკანასკნელად უთქვამს:—მე გადაჭრით პროტესტს ვაცხადებ ამ მოულოდნელ განჩინებაზე, დარწმუნებული ვარ მალე გამოირკვევა ჩემი უდანაშაულობა. მე მსურს, რომ ჩემს ცხედრის წინაშე არც რელიგიური და არც პოლიტიკურ ცერემონიები არ გადაიხადონ, რადგანაც ვფიქრობ, ის დრო რომელსაც მკვდრების დამარხვას ანდომებენ, შეიძლება ცოცხლებისათვის სასარგებლო საქმეს მოხმარდეს. რაც შეეხება ჩემს სხეულს, ვწუხარ, რომ აქ ისეთი ფეჩები არ მოიპოვება, როგორც პარიზსა, მილანსა და სხვა ქალაქებშია. სასურველი იქნებოდა დაეწვათ ჩემი სხეული. ვფიქრობ იმასაც, რომ სასაფლაოები დიდად მავნებელნი არიან ხალხის ჯანმრთელობისათვის. კარგი იქნებოდა, რომ ჩემს მეგობრებს ცოტა ელაპარაკნათ ჩემზე. კერპები მუდამ დიდი უბედურება ყოფილა ჩვენთვის. ადამიანები კი არა, მათი საქციელი უნდა შევისწავლოთ, ვაქოთ ან ვაძაგოთ“.

ერთ თავის მეგობარს ფერერმა თავის ქონება დაუტოვა განმანათლებელ საქმისათვის. ამა თან და ვალა პედაგოგიური ჟურნალის დაარსება თავისუფალ სკოლის იდეის გასავრცელებლად.

**ესპანიის მეფის განკარგულებანი.**

ბერლინის გაზეთები გადმოგვცემენ, ესპანიის მეფემ ორი ბრძანება გამოსცა. ერთი შეეხება პროვინციალურ კრებების, კორტესების დათხოვნას, მეორე კატალონიაში გენერალ ველერის დანიშვნას გენერალ გუბერნატორად. ველერი კარგად ცნობილი გენერალია. ის კუნძულ კუბის ნამესტნიკად იყო და მისი მხეცური მოქმედება ჯერ არავის დავიწყნია. ამ მხეცობამ გამოიწვია კუნძულის მცხოვრებთა აჯანყება და ომი ესპანიისა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამ ბოლო დროს გენერალს არა ერთხელ გაულაშქრნია მაურას კაბინეტის წინააღმდეგ. გაზეთები არაფერს ამბობენ იმაზე, მაურას წინააღმდეგ რა მოსაზრებით გაილაშქრა გენერალმა ველერმა. არც იმაზე ამბობენ რასმე, კატალონიაში „რკინის რეჟიმი“ უნდა შემოიღონ თუ არა. უფრო მოსალოდნელია, რომ გენერალ ველერის დანიშვნა სასტიკ ზომების მიღებას მოასწავებს.

**ჩერნოგორიის თხოვნა.**

ჩერნოგორიის მთავრობამ სთხოვა რუსეთისა და იტალიის დიპლომატიურ წარმომადგენლებს, როგორმე გავლენა იქონიეთ სერბიაზე, რომ მან მოსპოს ჩერნოგორიის მთავრობისა და მთავრის საწინააღმდეგო აგიტაციაო.

**სასჯელის შეჩერება.**

ესპანიის ახალმა მინისტრმა ბრძანება გასცა შეაჩერონ ბარცელონის სამხედრო სასამართლოების განაჩენების სისრულეში მოყვანა. ამ განაჩენებს ესპანიის უმაღლესი მთავრობა გადასინჯავს.

**ევროპა და მულაი-გაფიდი.**

ინგლისის მთავრობამ შეატყობინა მულაი-გაფიდს, რომ ინგლისი ვერ მიიღებს მაროკოს ლიჩებს. ამ გარემოებას უკავშირებენ გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობის წინადადებას, რომელიც თხოულობს მაროკოს სულთანისაგან ევროპის მიმართ პოლიტიკის შეცვლას. თუ ესპანელი დამოკიდებულება დარჩება, მოსალოდნელია მაროკოსთვის მეტად სამწუხარო ამბები მოხდესო.

**შვეციის მეფე და მუშათა მოძრაობა.**

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, შვეციაში მწარმოებელმა ლოკაუტი გამოუცხადეს მუშებს და დაითხოვეს იგინი. მწარმოებელს ისე ცუდად უპირავს თავი, რომ ამ გარემოებას მეფემაც კი მიაქცია ყურადღება, დაიბარა მწარმოებელთა კავშირის დირექტორი სიდოვი და პროფესიონალურ კავშირთა თავმჯდომარე ლინდკვისტი და დაბეჯითებით სთხოვა როგორმე შეთანხმებულიყვნენ და გაეთავებინათ საქმე.

# რუსეთი

✦ **გლეხი — დეპუტატები,** „რან. უტრო“-ს სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს ყველა მიმართულების გლეხ- დეპუტატებს გადაუწყვეტიათ ცალკე ჯგუფი დაარსონ. გლეხი —დეპუტატი შეიმუშავებენ ისეთ პროგრამას, რომელიც ყველა მიმართულების გლეხ—დეპუტატებისთვის მისაღები იქნება და სათათბიროში ერთად, სხვა ფრაქციებთან განკერძებულად იმოქმედებენ.

✦ **თავისუფალი— მსმენელები და უნივერსიტეტი.** სატახტო ქალაქის გაზეთებს სარწმუნო წყაროებიდან გაუგიათ, მთავრობას აზრად აქვს ამა წლის ნოემბერში გამოსცეს ბრძანება, რომლითაც თავისუფალ —მსმენელებს და თავისუფალ—მსმენელ ქალებს იგივე უფლება ექნებათ, როგორც ნამდვილ სტუდენტებს. ეს ბრძანება შეეხებათ მხოლოდ იმ თავისუფალ მსმენელებს, რომლებიც ამ ჟამად უნივერსიტეტში იმყოფებიან. ამავე ბრძანებით გაიხსნება ქალთა ორი უმაღლესი კურსი, რომლებსაც უნივერსიტეტის უფლებები ექნებათ.

✦ **პოლონელ დელეგატების განცხადება.** როგორც მკითხველს მოეხსენება, ადგილობრივ მეურნეობის საბჭოდან გავიდნენ პოლონელი დელეგატები. მიზეზი პოლონეთის ერობის შესახებ კანონ-პროექტია, რომელიც ძალიან ზღუდავს პოლონელების უფლებას. ადგილობრივ მეურნეობის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე წაუკითხნიათ პოლონელ დელეგატების განცხადება. განცხადებაში სწერია, ჩვენ, პოლონელი დელეგატები, სამწუხაროდ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ადგილობრივ მეურნეობის საბჭოს წესები პოლონელების საწინააღმდეგო არიან. იმედი გვქონდა შეთანხმებისა, მაგრამ მოვტყუვდითო.

✦ **სახელმწიფო სათათბიროში.** როგორც ვიცით ყოველ წლივ სახელმწიფო სათათბირო პრეზიდიუმს ირჩევს. ამ დღეებში მოხდება ეს არჩევნები. მემარჯვენეებს გადაუწყვეტიათ გაამწვონ ხომიაკოვი. მათ სურთ აირჩიონ ოქტომბრისტი როდზიანკო, მაგრამ ოქტომბრისტების ფრაქცია ამის წინააღმდეგი ყოფილა. ამის შემდეგ მემარჯვენეებს ოპოზიციისთვის წინადადება მიუციათ, შევთანხმდეთ და თავმჯდომარედ ლვოვი, ან გოლოვინი ავირჩიოთ. ლვოვი პროგრესისტია, გოლოვინი—კადეტი. გოლოვინი მეორე სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარედ იყო. ოპოზიციონერები გულცივად შეხვდრიან მემარჯვენეების წინადადებას, კიდევაც რომ თავმჯდომარედ გოლოვინი, ან ლვოვი ავირჩიოთ, მემარჯვენეები თავისას არ დაიშლიან, რხე დააყენებენ საქმეს, რომ მათ იძულებულ გახდიან თავმჯდომარეობას თავი დაანებონო.

✦ **სამოსწავლო წიგნების საწყობები.** ამ მოკლე ხანში სხვა და სხვა ქალაქებში მოაწყობენ სამოსწავლო წიგნების საწყობებს. ამ საწყობებიდან მოსწავლეებს წიგნებს რაც შეიძლება დაკლებულის ფასებით მიჰყიდიან.

✦ **ფინლიანდიის საქმეები.** სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეების ფრაქციას დაუდგენია ფინლიანდიაში სამი წევრი გაგზავნოს. მემარჯვენეების სიტყვით, ხმა დადის, რომ ფინლიანდიაში შეიარაღებულ აჯანყებისთვის ემზადებიან და საჭიროა დანამდვილებით გაგება თუ რამდენად მართალია ეს ხმაო.

როგორც ვიცით, ამ რამდენიმე ხნის წინედ გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება ფინლიანდიის სეიმისადმი, ფინლიანდიამ სამხედრო საჭიროებისთვის წელიწადში 20,000,000 მანეთი უნდა გადაიხადოსო. ეს ბრძანება ფინლიანდიის სეიმში აღელვებულის ხმით წაუკითხავს სენატორ კრააცს. სეიმში ბრძანების კითხვის დროს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდნილა. არავის ხმა არ ამოუღია. სეიმის თავმჯდომარეს ბრძანების წაკითხვის შემდეგ წყნარის ხმით უთქვამს, მოვიღე უმაღლესი ბრძანება და სეიმს განსახილველად გადავცემო. სენატორ კრააცს იმ წამსვე მიუტოვებია სეიმი.

14 ოქტომბერს სეიმის თავმჯდომარეს სვინხუვუდს დეპუტატებისთვის ჩვეულებრივი ნადიმი გაუმართნია. ნადიმზე სვინხუვუდს სიტყვა წარმოუთქვამს. მოვიყვანთ მოკლედ ამ სიტყვას: „ბ-ნებო! ჩვენი მდგომარეობა მაინც და მაინც უიმედო არ არის. ჩვენ ხალხს საუკუნოებით უცხოვრნია და ამ ხნის განმავლობაში ფინლიანდიას ბევრი უბედურება უნახავს, მაგრამ მაინც დაუხწევია თავი. განსაცდელისაგან გაჭირების შემდეგ ფინლიანდია უფრო მტკიცედ შესდგომია თავის საქმეების მოწყობას. ნუ თუ ჩვენი ხალხი ვერ აიტანს იმ გაჭირვებას, რომელშიაც ეხლა ჩვენ ჩავცვივდით? ჩვენ დემოკრატიული წეს-წყობილება გვაქვს- ამ წეს-წყობილების წყალობით ფინლიანდიაში ძლიერი საზოგადოება განვითარდა და ამ საზოგადოების დამონება არც ისე ადვილი საქმეა. ჩვენ ჩვენი სახალხო კულტურაც გვაქვს. ეს კულტურა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მაგრამ აყვავებულია, მას მაგარი ფესვები აქვს გადგმული. ჩვენ არ შეგვიძლიან ეჭვი შევიტანოთ მის სიძლიერეში და ჩვენი ხალხის კულტურის დათრგუნა არავითარ ბრძანებით არ შეიძლება. პატივცემულო დეპუტატებო! ნება მომეცით ჩვენი საყვარელ სამშობლოს სადღეგრძელო დავლიო! ღმერთმა ქნას, რომ ფინლიანდიას თავი დაეხწიოს ამ გაჭირვებისთვის, გადაეთელოს ყოველგვარი დაბრკოლებანი და პროგრესის გზას დასდგომოდეს“.

# წერილი რედ. მიმართ

დ. ბორჯომში, მჟავე წყლის დარბაზში, წარსულ წლის 7 ქრისტეშობისთვეს გამართულ იქმნა აკაკი წერეთლის 50 წლის ლიტერატურულ მოღვაწეობის იუბილეი (სალიტერატურო დილა), წაიკითხეს აკაკის ბიოგრაფია და ასწერეს ლიტერატურული მოღვაწეობა ქართულად და რუსულად. წარმოდგენილ იქმნა ორი მოქმედება „თამარ ცბიერი“-დან. წაიკითხეს ლექსები, მღეროდა გუნდი და სხვა. ბორჯომიდან გაგზავნილნი იყვნენ წარმომადგენელნი აკაკის დღესასწაულზე დასასწრებლად და ადრესის მისართმევად ტფილისში დარია მოისეევისა და გლეხი (მუშა) ანდრო თედიაშვილი. უკანასკნელს მიეცა ხარჯად 8 მან., ხოლო პირველმა თვით იკისრა ხარჯი.

შემოსწირეს: მიხ. აბულოვმა—3 მან. (და დაგვითმო მჟავე წყლის დარბაზი უფასოდ) და პეტ. მილოვიდოვმა 5 მან. აგრეთვე დაგვითმო დარბაზი რეპეტიციებისთვის. კარლ რამმა უსასყიდლოდ დაგვითმო ყვავილები და სხვა-და-სხვა დეკორატიული მცენარეულობა სცენის მოსართავად, რაჟდენ ზაქარეიშვილმა თავს იდო ხარჯი და შრომა ქ. გორში ჩასვლა-ამოსვლისა, დღესასწაულისათვის ნებართვის მისაღებად, მ. სოფრომაძემ შეადგინა და შეამზადა გუნდი მომღერალთა, ხოლო მიხაილოვმა მემუსიკეთა გუნდი. როგორც ზემოხსენებულთ პირთ, ისე ყველა მათ ვინც დაგვეხმარნენ დღესასწაულის გამართვაში უძღვნით გულითად მადლობას.

შემოსავალი იყო: ბილეთიბისა—66 მან. 30 კაპ., შემოწირულა 8 მან. სულ 74 მან. 30 კაპ. დაიხარჯა: მარკების მაგიერი 5 მ. 83 კ., მემუსიკეთ, გვირგვინი, ფერადი ქაღალდები, ლურსმანი, აფიშები და ბილეთები—18 მ. 30 კ., აკაკის სურათი ჩარჩოთი და ადრესის ქაღალდი—5 მ. 20 კ., წარმომადგენელს სამგზავროდ—8 მ., წიგნაკები, აკაკის რჩეული ლექსები—12 მ. 50 კ., ივ. ბეჟიტაძეს ტფილისში ჩასვლა-ამოსვლა (ქულაჯების საშოვრად)—5 მ. 10 კ., ქირა ქულაჯებში და მათი გაგზავნა—4 მ. 50 კ., პარიკმახერს—7 მ., ყარაულს, სტრაჟნიკებს და გოროდოვოებს—4 მ. 20 კ, წვრილმანი ხარჯი—3 მ. 90 კ., მარკები და ტელეგრამმა ნებართვის ასაღებად—2 მ. 70 კ., მარკები წერილებისათვის—21 კ., უფასოდ მიეცათ ბილეთები მონაწილეთ—5 მ. სულ 82 მან. 14 კაპ. დაუფარავი დარჩა ხარჯი—8 მან. 14 კაპ.

სადღესასწაულო კომიტეტის თავმჯდომარე **ვლ. ყიფიანი.**

—

ბორჯომში ამ წლის 7 თებერვალს წარმოდგენილ იქმნა „დრონი მეფობენ“. წმინდა შემოსავალი 29 მან. 7 კაპ. გავეგზავნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 19 მარტს. განზრახვა გვქონდა ზემოხსენეული წარმოდგენა დაგვედგა დ. ბორჯომში წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დასაარსებლად. ამ აზრით ნებართვის აღება ვერ მოვახერხეთ; გადავსწყვიტეთ დაგვედგა წარმოდგენა ქ. შ. წ. კ. გ. ს. სასარგებლოდ, რამაც აქაური „რაინდ—ვაჟბატონები“ (ცუდ გუნებაზე დააყენა. [illegible] ხმების გავრცელებას, სცდილობდნენ წარმოდგენის ჩაშლას, მაგრამ წარმოდგენა მაინც დაიდგა.

შემოვიდა 74 მ. 5 კ. დაიხარჯა: მარკები ბილეთისათვის—6 მ. 28 კ., პარიკმახერს—10 მ., ქაღალდი, კონვერტები, რვეულები, წიგნი და ფოსტის ხარჯი—2 მ. 55 კ., დარაჯებს, სტრაჟნიკებს და დურგლებს—4 მ. 50 კ., ტანისამოსის ქირა—1 მ., ტელეგრამმა და მარკები ნებართვის ასაღებად—3 მ. 50 კ., სანთელი, პური, ყველი და ღვინო სცენისათვის—2 მ. 80 კ., თეატრის გათბობა—მოწყობაში და სცენაზე მომხმართ მიეცათ ბილეთები—9 მ., სცენაზე მოთამაშეთ დაურიგდა ბილეთები—5 მ. 20 კ., წმინდა შემოსავალი (გაეგზავნა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას 19 მარტს)—29 მ. 7 კ., ფულის გაგზავნა—15 კ. სულ 74 მ. 5 კ.

წარმოდგენის გამგე **ვლ. ყიფიანი.**

—

ბ-ნო რედაქტორო! გაახლებთ რა ქვემოდ ნაჩვენებ თანხას, გთხოვთ გამოაცხადოთ სია და ფული გადასცეთ ჭრებალოს სამკითხველოს სასარგებლოდ. ლუკა პატარიძე—1 მ. ტარასი ბაკურიძე—50 კ., ალექსანდრე თვარაძე—50 კ., გრამიტონ ხვედელიძე—1 მ. ილიკო ხიზრია—50 კ.

# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—200)

**მეორე სპეციალური კლასი ტერ-სტეფანოვის სავაჭრო სკოლისა**

(ჩინის მიღების უფლებით)

იხსნება ამა წლის პირველ იანვარს. სწავლა საღამოდ. 4½ ს.-დან. ნახევარი წლის ფასი 60 მ. წინ და წინვე უნდა იქმნას შეტანილი. მოსამსახურეთათვის განაწილება შეიძლება.

ველიკო-კნიაზის ქ., N 17, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. შესასვლელი მიხეილის პროსპ. N 16-18.

(3—513—3)



ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ „КАЙЗЕРЪ“

**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის**

**მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერმოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—83)